ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 13 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპულ ქარტიაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით ხელმოწერისა და მასთან მიერთების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: **კახაბერ გოლუბიანი** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 13 მარტის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 5

2026 წლის 13 მარტი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, კობა კვირიკაშვილი, ჟანა ნემსაძე, მარინე ხვედელიძე, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, გივი თხელიძე, როინ გელაშვილი, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე , მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, იზოლდა ვეფხვაძე, ვლადიმერ ტალახაძე, გელა მაღრაძე, გრიგოლ ჭიპაშვილი, გურამ კურტანიძე, ბესიკი ტალახაძე, ბესარიონ გრიგალაშვილი, სპარტაკ ლაცაბიძე, მიხეილ ჭიპაშვილი, გივი მაისურაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

სოფიო ხორგუანი საქართველოს პარლამენტის წევრი „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წევრი

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

საკრებულოს აპარატი:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ინგა ბერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპულ ქარტიაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით ხელმოწერისა და მასთან მიერთების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი 1

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის **კახაბერ გოლუბიანის** ინფორმაცია საკითხზე **ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპულ ქარტიაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით ხელმოწერისა და მასთან მიერთების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

(თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

კობა კვირიკაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, ასევე უპასუხა საკრებულოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვას„ ძლიერი საქართველო ლელოს“ წარმომადგენელს მიხეილ ჭიპაშვილს ევროპულ ქარტიასთან მიერთების დანიშნულების შესახებ და აღნიშნა, რომ კომისია თანახმაა მერს მიეცეს თანხმობა ქარტიაზე ხელმოწერის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა წინადადება

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე